სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის სალომე კვერღელიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**24**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **სალომე კვერღელიძის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - სალომე კვერღელიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი სალომე კვერღელიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამ დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, ეს მახასიათებლებია: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით სალომე კვერღელიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ. სალომე კვერღელიძის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და ასეთი ინფორმაციის შემცველი სხვა დოკუმენტები. ამასთან, სალომე კვერღელიძის შეფასებისას გავითვალისწინე მის მიერ შევსებულ განაცხადში მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის პროცესში უშუალოდ კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებები.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებელთან მიმართებაში, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მას ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და სხვა დადებით პიროვნულ და პროფესიულ მახასიათებლებს. რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ან/და სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

სალომე კვერღელიძეს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება. სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. მას არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ სამართლიან, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პიროვნებად. აღნიშნავენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პრინციპულობით, გააჩნია პიროვნული სიმტკიცე და ზეგავლენის მიმართ მედეგობა.

კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სალომე კვერღელიძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. საჯარო მოსმენაზე მისი მხრიდან ასევე არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სალომე კვერღელიძე გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სალომე კვერღელიძე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის - სალომე კვერღელიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სალომე კვერღელიძე მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შეესაბამება სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სალომე კვერღელიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე სალომე კვერღელიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ სალომე კვერღელიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი (რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 1. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 79/25). იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „სალომე კვერღელიძემ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩაბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 96 ქულა. <u>სამოქალაქო სამართალში</u> სალომე კვერღელიძე ნებისმიერი დავალების შესრულების პროცესში ავლენდა მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას, რასაც პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს იყენებდა მაღალ დონეზე და სრულიად რელევანტურად. საქმის გარემოებათა სუბსუმირებას უპრობლემოდ ახორციელებს, უსწრაფესად ახდენს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების იდენტიფიცირებას და მათთვის სამართლის ნორმის მისადაგებას... მსჯელობს მაღალი სამართლებრივი კულტურით, დამაჯერებლად და ტაქტიანად. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების

პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. სალომე არის გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი, მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც კომუნიკაბელურმა და თავაზიანმა ადამიანმა, არის ძალიან ტაქტიანი და არასოდეს გაცდენია ეთიკის ნორმებს. არის ორგანიზებული, სწრაფად და ეფექტურად ანაწილებს დროს. <u>ადმინისტრაციული სამართალში</u> სალომე კვერღელიძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის ძალიან კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად, თანმიმდევრულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. არის კეთილსინდისიერი, მაღალი კომპეტენციით გამორჩეული, თავაზიანი, შრომისმოყვარე, გულისხმიერი და კომუნიკაბელური ადამიანი. სისხლის სამართალში სალომე კვერღელიძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მსმენელს, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს ნორმალური თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. რეკომენდებულია მან იზრუნოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 2 დეკემბერს, სალომე კვერღელიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მას დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

საჯარო მოსმენის შედეგად გამოირკვა, რომ სალომე კვერღელიძე კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატი ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ სალომე კვერღელიძე სიღრმისეულად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და დასაბუთებული.

<u>**კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან**</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სალომე კვერღელიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული,

მათ შორის სამივე ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. ის არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „სალომე კვერღელიძის მიერ შესრულებული გადაწყვეტილება და საპროცესო დოკუმენტი შინაარსობრივი თვალსაზრისით სწორად და გასაგები ენით იყო გადმოცემული, ყურადღება გამახვილებული იყო მნიშვნელოვან გარემოებებზე, დოკუმენტი არ საჭიროებდა ტექნიკურ კორექტირებას.“ ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, სალომე კვერღელიძეს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნება, მას შეუძლია საქმის სწრაფად და დეტალურად გაცნობა, ასევე აქვს სამართლებრივი პრობლემის სხარტად წამოჭრის და არგუმენტირებულად გადაწყვეტის უნარები.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით იყო კვალიფიციური და თანმიმდევრული.

<u>**წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის**</u> შეფასების დროს მხედველობაში მივიღე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნა, რომლის თანახმად „სალომე კვერღელიძე გამოირჩევა აკადემიური წერის უნარით. შეუძლია იურიდიული ტერმინოლოგიით დატვირთული ტექსტი და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვან გარემოებათა დასაბუთება განსაკუთრებით აქცენტირებულად წარმოაჩინოს. მის მიერ მომზადებულმა გადაწყვეტილებების და საპროცესო დოკუმენტების პროექტებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. სალომე კვერღელიძეს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად და განავითაროს საინტერესო სამართლებრივი მსჯელობა, რომელიც ყოველთვის ზუსტი, მიზანმიმართული და ამომწურავია. საკუთარ აზრს გადმოსცემს თავისუფლად და არგუმენტირებულად.“

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ სალომე კვერღელიძეს გააჩნია აზრის წერილობით ნათლად, გასაგებად, გრამატიკულად გამართულად, არგუმენტირებულად და ამომწურავად გადმოცემის უნარი. ასევე ის კარგად ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარებს. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>**პროფესიულ თვისებებთან**</u> დაკავშირებით გამოკითხული პირები, რეკომენდატორები და შემფასებლები ხაზს უსვამენ კანდიდატის ისეთ თვისებებს, როგორიც არის შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, სირთულეებთან გამკლავების კარგი უნარი. აღსანიშნავია, რომ სალომე კვერღელიძე გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და

სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატი მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

სალომე კვერღელიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ სალომე კვერღელიძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, იყო მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლის 2018 წლის მონაწილე და ერთ-ერთი გამარჯვებული.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის, - სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები - იუსტიციის უმაღ-ლესი სკოლა; "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენ-ციის მექანიზმები - საჯარო სამსახურის ბიურო; მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლა - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-ლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, გამოხატვის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა და სამართლიანი სასამართლოს უფლება - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, USAID/PROLoG და სხვა.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** ითითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდი-ლება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებ-ლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ სალომე კვერღელიძის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **90** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 09.12.2024